

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ზ ა მ ტ კ ი ც ე ბ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყეშვილი ზურაბ ბუცხრიკიძე

„15“ „11“ 2013 წელი

ეგზ. № 2

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში ან 4.3/00

2013 წელი

შესავალი.....	3
აუდიტის ძირითადი მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	3
ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	8
გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	8
წყალსადენის რეაბილიტაცია.....	9
მინერალური წყლის ჭაბურღილი.....	9
წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა.....	10
საცურაო აუზის რეაბილიტაცია	10
სარიტუალო მოწყობილობა	11
ჯებირებისა და ხიდების მოწყობა	11
სხვა სამუშაოები	12
განხორციელებული პროექტების მიზნობრიობა	13
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა:.....	15
სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით:.....	15
სოფელი ლამანაშური.....	16
შეუსაბამოები კრების ოქმებში.....	17
დასახელებული პრიორიტეტების ნაცვლად შესრულებული განსხვავებული სამუშაოები	18
ხელშეკრულებებში არსებული ხარვეზები	18
ვადაგადაცილება	19
ხარვეზები შესრულებული სამუშაოს მიმღები კომისიის მუშაობაში	19
არაფინანსური აქტივების ზრდა	20
მასშტაბის შეზღუდვა.....	20
აუდიტის დასკვნა	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:	ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

შესავალი

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

✓ დასკვნის გაცემა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

✓ მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა ორგანიზაციაში შიდა კონტროლის ისეთი სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს, ასევე, რამდენად ეკონომიურად და პროდუქტიულად არის განხორციელებული ფინანსური სახსრების ხარჯვა. აუდიტი ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის

ეთიკური მოთხოვნა, რომელსაც ითვალისწინებს აღნიშნული საერთაშორისო სტანდარტები, საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

პროფესიული განსჯის საფუძველზე აუდიტორი არჩევს პროცედურებს, რომლებიც, მისი მოსაზრებით, საჭიროა აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად და აუდიტის ობიექტის საქმიანობაში არსებული უზუსტობებისა და რისკების შესაფასებლად, რომელიც, თავის მხრივ, გამოწვეულია განზრახ არამართლზომიერი ქმედებით ან შეცდომით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები წარმოადგენს საკმარის და შესაფერის საფუძველს აუდიტორული დასკვნების გასაკეთებლად.

ინფორმაცია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ შესახებ

საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ყოველწლიურად მტკიცდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სახის საჭიროებების მოგვარებას და ამ საჭიროებათა მოგვარებაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას.

სოფლის პროგრამების მეშვეობით, მუნიციპალიტეტში ხორციელდება სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ძირითადად ფინანსდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით, რომელიც ტრანსფერის სახით ირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში და მას განკარგავს მუნიციპალიტეტი.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, განისაზღვრება პროგრამის ძირითადი მიზნები, დაფინანსების წყაროები, პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა. დადგენილების მიხედვით პროგრამის ძირითადი მიზნებია:

- ✓ პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებათა დასაფინანსებლად (ადგილობრივი

ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და სხვ.);

- ✓ თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა;

- ✓ მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება;

- ✓ თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის - რწმუნებულის უფლებამოსილებათა ეფექტიანად განხორციელება.

თითოეული სოფლისთვის გამოსაყოფი თანხის გაანგარიშება ხორციელდება მთავრობის დადგენილების შესაბამისად, რის შემდეგაც საქართველოს მთავრობა გამოსცემს განკარგულებას თანხების გამოყოფის შესახებ. 2011-2012 წლებში მიღებული დადგენილებების მიხედვით, პროგრამით გამოყოფილი თანხები გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი მიზნობრიობით:

- ✓ შესყიდულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება და არ უნდა იყოს მიმართული მოკლევადიანი მოხმარებისთვის;

- ✓ სამუშაოთა შესასრულებლად მაქსიმალურად უნდა დასაქმდეს შესაბამისი სოფლის მოსახლეობა;

- ✓ განსახორციელებელი პროგრამით სარგებლობის საშუალება უნდა ჰქონდეს სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ თანხის გამოყოფის შემდეგ, თემის რწმუნებული იწვევს სოფლის საერთო კრებას, სადაც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შეირჩევა პრიორიტეტები. მიღებული გადაწყვეტილება აისახება კრების ოქმში, რომელიც ეგზავნება მუნიციპალიტეტს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გამგეობის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საზოგადოებრივი მომსახურების სამსახური ადგენს შესასრულებელი სამუშაოების პროექტ-ხარჯთაღრიცხვას.

პროექტის შედგენის შემდეგ, მუნიციპალიტეტი სოფლების მიხედვით შეარჩევს მიმწოდებლებს და მათთან, გამარტივებული შესყიდვის გზით, აფორმებს ხელშეკრულებებს. დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებით შექმნილი სამუშაოების მიმღები კომისია.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფინანსური უზრუნველყოფა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ფართობია 1 344 კმ², მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 8.6 ათას კაცს. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის 1 დაბა და 60 სოფელი, რომლებიც გაერთიანებულია 8 თემში.

სააუდიტო პერიოდში მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებიდან გამოეყო 592.1 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად განაწილდა და გაიხარჯა ინფრასტრუქტურულ და სხვა სახის პროექტებზე.

თანხების განაწილება წლების მიხედვით

ლარი

პერიოდი	გამოყოფილი თანხა	ათვისებული თანხა	სხვაობა
2011 წელი	280 213	280 208	5
2012 წელი	311 895	311 863	32
სულ:	592 108	592 071	37

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხები მუნიციპალიტეტის მიერ თითქმის სრულადაა ათვისებული.


2011-2012 წლებში მუნიციპალიტეტმა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ სულ განახორციელა 115 გამარტივებული შესყიდვა, მათ შორის, 2011 წელს

- 55¹, ხოლო 2012 წელს - 60. მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებად, უმეტეს შემთხვევებში, შერჩეულ იქნენ ადგილობრივი მეწარმეები, რომელთაც გაუფორმდათ ხელშეკრულებები პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხების შესაბამისად.

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით შესრულებული სამუშაოები დაჯგუფებულია თემატურად სოფლების მიხედვით და ინფორმაცია წარმოდგენილია დიაგრამის სახით:

დიაგრამა: თანხების განაწილება სამუშაოების მიხედვით 2011-2012 წწ.

ლარი



შესრულებული სამუშაოების შემოწმების შედეგად გამოვლენილი გარემოებები მოცემულია პირობითი მოსაზრების საფუძვლებში.

¹ რამდენიმე შემთხვევაში, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში გაერთიანებულია 2-3 სოფელი.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების 31%-ს შეადგენს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (37 სოფელში - თანხით 182.7 ათასი ლარი).

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოიცავს შიდა სასოფლო და საჭაპანო გზების საფარის გაწმენდით სამუშაოებს, დაზიანებული მონაკვეთების აღდგენას და ცალკეულ შემთხვევებში, დამეწყრილი ზონების გაწმენდა-დასუფთავებას. გახარჯული თანხების 59%-ზე მეტი მოდის შემდეგი ტიპის სამუშაოების შესრულებაზე:

- ✓ მესამე და მეოთხე კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელის იარაღებით - ერთი კუბ.მ მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავების ღირებულება ძირითად შეადგენს 6.65 ლარს, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში - 12 ლარს, მაშინ, როდესაც ორივე შემთხვევაში სრულდება ერთი და იგივე სამუშაო. მუნიციპალიტეტის საპროექტო სამსახურის მიერ ვერ იქნა დასაბუთებული, ცალკეულ შემთხვევაში ფასთა შორის არსებული სხვაობის მიზეზი. სულ, 2011-2012 წლებში, ხელის იარაღებით დამუშავებულია 4 849 კუბ.მ გრუნტი, საერთო თანხით - დაახლოებით 34 ათასი ლარი. აქედან, 241 კუბ.მ-ის დამუშავებაზე გადახდილია 12 ლარი, სულ - 2.9 ათასი ლარი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული 241 კუბ.მ გრუნტის დამუშავება მოხდებოდა 6.65 ლარად, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაზოგავდა დაახლოებით 1.3 ათას ლარს.
- ✓ მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავება ბულდოზერით - კუბ.მ-ის დამუშავების ღირებულებაა დაახლოებით 1.92 ლარი. სულ 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესრულებული სამუშაოების ფარგლებში დამუშავებულია 39 125 კუბ.მ გრუნტი, საერთო ღირებულებით, დაახლოებით 75 ათასი ლარი.

შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე არსებობს რისკი, რომ გრუნტის დამუშავება არ მომხდარა იმ რაოდენობით, როგორც ეს

ხარჯთაღრიცხვებსა და შესრულებული სამუშაოების აქტებშია მითითებული. მაგალითად: 2012 წელს, სოფელ ბაბილში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია. ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვისა და მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, ერთ კილომეტრიან მონაკვეთზე დამუშავდა 3 200 კუბ.მ მესამე კატეგორიის გრუნტი, ანუ გზის ყოველ კვადრატულ მონაკვეთზე დამუშავდა დაახლოებით 0.8 კუბ.მ გრუნტი (80 სმ-ის სიმაღლეზე). რადგან სამუშაოები ითვალისწინებდა არსებული გზის საფარის გაწმენდას, არსებობს რისკი, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობის გაანგარიშება ეფუძნება არაგონივრულ გათვლებს.

წყალსადენის რეაბილიტაცია

ლენტეხის მუნიციპალიტეტში 2011-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების 24% (143.2 ათასი ლარი) გახარჯულია წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოზე, რომელიც შესრულებულია 28 სოფელში და მოიცავს წყლის სათავე ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციას და სხვა ტიპის სამუშაოებს. აღნიშნული საკითხების შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

მინერალური წყლის ჭაბურღილი

2011 წელს ჟახუნდერის თემის სოფელ ლემზაგორში, მინერალური წყლის მოპოვების მიზნით, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, განხორციელდა გრუნტის ბურღვითი სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 4 972 ლარი. რწმუნებულის ახსნა-განმარტებით, პროექტმა ვერ გაამართლა, რადგან, გაბურღვის შემდეგ, მინერალური წყლის მოპოვება ვერ მოხერხდა და შემსრულებლის მიერ გამოყოფილი თანხების სრულად ათვისების მიუხედავად, სოფლის მოსახლეობისთვის შესრულებულ სამუშაოებს შედეგი არ მოჰყოლია.

წყლის სათავე ნაგებობის მოწყობა

2012 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „გია ონიანს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით 5 495 ლარი. ხელშეკრულების საგანი იყო სოფელ ლეკოსანდის წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. შესასრულებელი სამუშაოს ადგილმდებარეობის გამო, ხარჯთაღრიცხვის ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებული იყო სამშენებლო მასალების საჭაპანო აზიდვა ცხენით 1.2 კმ-ზე. მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, სულ ცხენით განხორციელდა 4 950 კგ. ტვირთის აზიდვა, ხოლო ერთი კილოგრამი ტვირთის აზიდვის ღირებულება შეადგენდა 0.63 ლარს. ჯამში, სახელშეკრულებო თანხით გათვალისწინებული 5 495 ლარიდან, საჭაპანო გადაზიდვაზე დაიხარჯა 3 140 ლარი (მთლიანი თანხის 57%). ლენტეხის მუნიციპალიტეტის საპროექტო სამსახურმა ვერ წარმოადგინა გაანგარიშება, რის საფუძველზეც მოხდა სამშენებლო მასალების საჭაპანო აზიდვის ერთეულის ფასის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას, რამდენად რეალურია აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე გადახდილი თანხა.

საცურო აუზის რეაბილიტაცია

2011 წელს სოფელ ნანარში, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, განხორციელდა საცურო აუზის რეაბილიტაცია, თანხით 6 737 ლარი, საიდანაც თანხის უმეტესი ნაწილი მიღების შეძენა-მონტაჟზე, ხოლო დაახლოებით 1 400 ლარი - საცურო აუზის რეაბილიტაციისთვის დაიხარჯა. რწმუნებულის ახსნა-განმარტებით, ზამთრის პერიოდში საცურო აუზის შეკეთებისთვის გაწეული სამუშაოები, უხარისხობის გამო, გამოვიდა მწყობრიდან და საჭირო გახდა ხელახალი შეკეთება, რის გამოც 2012 წლის პრიორიტეტის შერჩევისას, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, კვლავ დადგა დღის წესრიგში აღნიშნული საცურო აუზის რეაბილიტაცია და განხორციელდა მისი კაპიტალური შეკეთება.

სარიტუალო მოწყობილობა

სააუდიტო პერიოდში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში სარიტუალო მოწყობილობის შეძენა განხორციელდა 26 სოფელში, თანხით - 143.2 ათასი ლარი (მთლიანი თანხის 24%), რაც გულისხმობს სოფლებისთვის ჯამ-ჭურჭლისა და სეფის მოწყობილობის შეძენასა და სარიტუალო სახლების რეაბილიტაციას.

სოფელ ჩიხარემის სარიტუალო სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში შედგენილი დოკუმენტაციის შემოწმებით გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

2012 წლის 6 ოქტომბერს, ლენტეხის მუნიციპალიტეტსა და ი/მ „ზაზა ჯანხოთელს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება №202, სახელშეკრულებო თანხით - 8 541 ლარი. ხელშეკრულების საგანი იყო სარიტუალო სახლის შეკეთებისა და გადახურვის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ შედგენილ იქნა ხარჯთაღრიცხვა, სადაც, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებასთან ერთად, გათვალისწინებული იყო დღგ-ის თანხა - 1 303 ლარი. ფაქტობრივად, შესრულებული სამუშაოების აქტის მიხედვით, შემსრულებელმა, რომელიც დღგ-ის გადამხდელი არ იყო, შესრულებული სამუშაოების აქტში დღგ-ის თანხა არ მიუთითა, მაგრამ შესაბამისი თანხით გაზარდა ხარჯთაღრიცხვის ერთი პუნქტი, კერძოდ, დგარებისა და ნივნივების ღირებულება 110-დან 450 ლარამდე და ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ პარამეტრებს დაუმატა მასალების ტრანსპორტირება - 320 ლარი. საბოლოო მიღება-ჩაბარების მიხედვით, მიმწოდებელს სახელშეკრულებო ღირებულება სრულად აუნაზღაურდა.

ჯებირებისა და ხიდების მოწყობა

2011-2012 წლებში, „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 12 სოფელში განხორციელებულია ჯებირებისა და ხიდების მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით - 55.4 ათასი ლარი (მთლიანი თანხის 9%). აღნიშნული სამუშაოების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

2011 წელს სოფელ ხაჩეშში, მოსახლეობის გადაწყვეტილებით, განხორციელდა მდინარის ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა, რომლის შესრულებაზე დაიხარჯა 2.3 ათასი ლარი. მშენებლობისთვის გამოყენებულ იქნა ქვა-ფიჩხის მასალა. მოწყობილი ჯებირები იმავე წელს გამოვიდა მწყობრიდან და 2012 წელს, სოფლის მოსახლეობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საჭირო გახდა იმავე სამუშაოების შესრულება, რისთვისაც დამატებით დაიხარჯა 2.3 ათასი ლარი. ამ შემთხვევაშიც სამშენებლო მასალად გამოყენებული იქნა ქვა-ფიჩხი.

რწმუნებულის ახსნა-განმარტებით, ქვა-ფიჩხის მასალა არ არის ხანგრძლივი გამოყენებისა და ვერ უზრუნველყოფს მასზე დაკისრებული ფუნქციის სათანადოდ შესრულებას, ამიტომ, მისივე შეფასებით, უმჯობესი იქნება ნაპირსამაგრი ჯებირები მოეწყოს ლითონის ბადეებით, რომლებიც შედარებით ძვირია, მაგრამ მისი ექსპლოატაციის ვადა ბევრად აღემატება ქვა-ფიჩხის ჯებირების ფუნქციონირების ვადას და გრძელვადიან პერიოდში მისი გამოყენება შედარებით ეფექტიანი იქნება.

სხვა სამუშაოები

სხვა სამუშაოების ფარგლებში, 2011-2012 წლებში, სულ შესრულებულია 21.3 ათასი ლარის სამუშაოები (მთლიანი თანხის 4%), რომელიც აერთიანებს მინისტადიონის მოწყობას, მიკროჰესის სადენების შეძენა-მონტაჟს და სხვა ტიპის სამუშაოებს, რომელთა დოკუმენტაციის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

2012 წელს სოფელ ლუჯის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტად შერჩეულ იქნა მინისტადიონის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულება გაფორმდა ი/მ „რამაზ ბენდელიანთან,“ თანხით 5 319 ლარი. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები იყო: სტადიონის ზედაპირზე გრუნტის დამუშავება და შემორაგვითი სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ შემსრულებელმა სრულად აითვისა სახელშეკრულებო თანხა, სტადიონი, დღეის მდგომარეობით, არ ფუნქციონირებს. აღნიშნული დასტურდება გადაღებული ფოტო-მასალით და მოსახლეობის ზეპირი გამოკითხვით.

სოფელ მანანაურში, მოსახლეობის გადაწყვეტილებით, 2012 წელს მიკროჰესიდან სოფლამდე დამონტაჟდა ელექტრო სადენი, რომლის შეძენაზე დაიხარჯა 2 176 ლარი. დღეის მდგომარეობით, სოფელს ელექტროენერგია არ მიეწოდება, ვინაიდან მწყობრიდან გამოვიდა მიკროჰესის გენერატორი, რომელიც სოფლის მოსახლეობამ 2011 წელს საკუთარი სახსრებით მოაწყო. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობას ელექტრო-ენერგია არ მიეწოდება, 2013 წლის პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია სხვა ტიპის სამუშაოების შესრულება.

განხორციელებული პროექტების მიზნობრიობა

2011-2012 წლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული მიზნობრიობის კრიტერიუმების დაცულობა:

ლარი						
№	მიზნობრიობის დაცულობა	მთლიანი სამუშაოები	სრულად აკმაყოფილებს (დაცულია მიზნობრიობის სამივე კრიტერიუმი)	ნაწილობრივ აკმაყოფილებს (არ არის დაცული სამივე კრიტერიუმი)	არ აკმაყოფილებს (არ არის დაცული არც ერთი კრიტერიუმი)	უზარისხობის გამო ვერ აკმაყოფილებს
	სამუშაოს ტიპი	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა	სოფლების რაოდენობა / თანხა
1	გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	37 - 182 735	37 - 182 736			
2.	წყალსადენის რეაბილიტაცია	28 - 143 262	26 - 136 891		1 - 4 972	1 - 1400
3.	სარიტუალო მოწყობილობა	26 - 143 156	26 - 143 157			
4	ჯებირებისა და ხიდების მოწყობა	12 - 55 367	10 - 50 767	2-4 600		
5.	ეკლესია-სასაფლაოს შემოღობვა	9 - 46 209	9 - 46 210			
6.	სხვა სამუშაოები	5 - 21 342	4 - 16 023			1 - 5319
	სულ	117/592 071	112/575 784	2-4600	1 - 4972	2 - 6719

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებული სამუშაოების უმრავლესობა, თავისი არსით, აკმაყოფილებს დადგენილებით განსაზღვრული მიზნობრიობის კრიტერიუმებს:

- ✓ შესრულებული სამუშაოებით სარგებლობს მოსახლეობის უმეტესობა;
- ✓ შესრულებულ სამუშაოებს გააჩნია ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება;
- ✓ პროექტის განხორციელებაში ჩართულია მოსახლეობის უმეტესობა.

მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც სამუშაოების შესრულების პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების გამო, მიზნობრიობის კრიტერიუმები არ არის დაცული. კერძოდ:

სოფელ ლემზაგორში, მინერალური წყლის მოპოვების მიზნით, განხორციელდა გრუნტის გაბურღვა, თუმცა, შესრულებული სამუშაოების მიუხედავად, წყლის მოპოვება ვერ მოხერხდა და პროექტის შედეგით მოსახლეობა ვერ სარგებლობს.

სოფელ ნანარში – საცურაო აუზის რეაბილიტაცია. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო, აუზი მალევე გამოვიდა მწყობრიდან. შესაბამისად, დარღვეულია მიზნობრიობის პუნქტი, რომლის მიხედვით, შესრულებულ სამუშაოს უნდა გააჩნდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება.

სოფელ ხაჩეშში – ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. იმის გამო, რომ ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა ხდება ქვა-ფიჩხის მასალით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ხანგრძლივ ფუნქციონირებას, არ არის დაცული მიზნობრიობის ერთ-ერთი პუნქტი, რომლის მიხედვით, შესრულებულ სამუშაოს უნდა ჰქონდეს ხანგრძლივი გამოყენების დანიშნულება.

სოფელ ლუჯში – მინი სტადიონის მოწყობა. არასრულყოფილად შესრულებული სამუშაოების გამო, სტადიონი დღეის მდგომარეობით არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, დაღვეულია მიზნობრიობის ერთ-ერთი პუნქტი, რომლის მიხედვით, შესრულებული სამუშაოთი უნდა სარგებლობდეს მოსახლეობის უმეტესობა.

სულ, 2011-2012 წლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებულია 117 პროექტი, საიდანაც 112 შემთხვევაში

პროექტი აკმაყოფილებს მიზნობრიობის ყველა კრიტერიუმს, ხოლო დანარჩენ 5 შემთხვევაში - მიზნობრიობა დარღვეულია ნაწილობრივ ან სრულად.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა:

სამუშაოების ანაზღაურება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით:

✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის ბრძანების² მოთხოვნათა შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, ხოლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება, შესრულებული სამუშაოს აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების დარიცხვის გარეშე.

✓ სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების დასადგენად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში საერთო სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა განისაზღვრება არა უმეტეს 10%-ით, გეგმური მოგება ყველა სახის სამუშაოსთვის – არა უმეტეს 8%-ით.

2012 წლის ივლისიდან, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს, ზემოთ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების ანაზღაურება არ ხორციელდებოდა ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელის ახსნა-განმარტებით გაირკვა, რომ იგი არ ფლობდა ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანების შესახებ და შესაბამისად, საქმიანობისას აღნიშნული ნორმის მიხედვით არ ხელმძღვანელობდა.

² საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის № 1-1/1463 ბრძანება.

2012 წლის 1 ივლისიდან სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულია 30 ხელშეკრულება, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ დაახლოებით 140 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტის ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტიდან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია შემსრულებლების მიერ გაწეული ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესახებ, საიდანაც უმეტესი ნაწილი ვერ იქნა წარმოდგენილი, ხოლო ნაწილი, რომელიც წარმოადგინა მუნიციპალიტეტმა, არ იძლევა საშუალებას, მოხდეს შემსრულებელთა მიერ გაწეული ფაქტობრივი დანახარჯების დაანგარიშება.

გამარტივებული შესყიდვის დროს სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ღირებულების დასადგენად, ზემოთ აღნიშნული ბრძანების³ შესაბამისად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ზედნადები ხარჯების ზღვრული ოდენობა უნდა იყოს არა უმეტეს 10%-ისა. თუმცა, როგორც შემთხვევებში, საპროექტოს მიერ სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშებისას, პირდაპირ დანახარჯებზე დარიცხულია ზედნადები ხარჯი 12%-ის ოდენობით, რომელიც შესაბამისად ასახულია ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების აქტში და მუნიციპალიტეტის მიერ ანაზღაურებულია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაუსაბუთებლად გაცემული თანხა შეადგენს დაახლოებით 700 ლარს,⁴ რომელიც ბიუჯეტიდან სავარაუდოდ ზედმეტადაა ანაზღაურებული.

სოფელი ლამანაშური

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. სარეგისტრაციო მონაცემებში ასახული უნდა იყოს თვითმმართველ ერთეულში შემავალი დასახლებები. ლენტეხის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში თანხები გამოეყოფა 60 სოფელზე, მაშინ, როდესაც იუსტიციის

³ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1463.

⁴ 2011 წელი - ხელშეკრულებები: №65, №86; 2012 წელი - ხელშეკრულებები: №169, №175, №190.

სამინისტროში მითითებული სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით, დღეის მდგომარეობით, ლენტეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 59 სოფელი. სარეგისტრაციო მონაცემებში დაფიქსირებული არ არის სოფელი ლამანაშური, რომელსაც, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიღებული აქვს დაფინანსება 9.1 ათასი ლარის ოდენობით.

შეუსაბამობები კრების ოქმებში

მუნიციპალიტეტის თემის რწმუნებულების მიერ შედგენილი საერთო კრების ოქმები, რომლებიც ადასტურებს სოფლის მოსახლეობის მიერ შერჩეულ პრიორიტეტს და ამ პრიორიტეტის შერჩევაში სოფლის მოსახლეობის ჩართულობას 2011-2012 წლებში, ხასიათდება გარკვეული ხარვეზებით, კერძოდ:

2011 წელს, საერთო კრებაზე მონაწილე პირთა რეგისტრაციის ფორმაში მონაწილეთა დასწრება დასტურდება მათივე ხელმოწერით. არის შემთხვევები, როცა დამსწრეთა რეგისტრაციის ფორმაში დაფიქსირებული ხელმოწერები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. აქედან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ კრებაზე დამსწრეთა რაოდენობა ხელოვნურადაა გაზრდილი.

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი 2011 წლის ოქმების მიხედვით, კრებაში სულ მონაწილეობა მიიღო 1 221-მა კაცმა, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის დაახლოებით 14%-ს შეადგენს, ხოლო 2012 წელს – 745-მა კაცმა, რაც 9%-ია. არსებული ტენდენციის მიხედვით, 2011 წელთან შედარებით, შემცირებულია მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი. ამასთანავე, 2011 წლისგან განსხვავებით, 2012 წლის ოქმებს არ ახლავს საინიციატივო ჯგუფის წევრთა სია, მოსახლეობის გამოკითხვის ფორმა და სამუშაოს შესრულებამდე და შესრულების შემდეგ გადაღებული ფოტომასალა.

დასახელებული პრიორიტეტების ნაცვლად შესრულებული განსხვავებული სამუშაოები

ცალკეულ შემთხვევებში, ოქმებში პრიორიტეტად დასახელებული სამუშაოები სრულიად განსხვავებულია ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოებისგან, კერძოდ:

2011 წელს სოფელ გვიმრალაში, კრებაზე დღის წესრიგში იდგა წყლის პრობლემა და მოსაცდელის აშენება. საბოლოოდ, პრიორიტეტად დასახელებულ იქნა მგზავრთა მოსაცდელის აშენება, ხელშეკრულების ფარგლებში კი შეძენილია სარიტუალო სეფა.

2011 წელს სოფელ ყვედრეში, სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, პრიორიტეტად დასახელებულ იქნა სოფლის ორი მხარის დამაკავშირებელი ხიდის შეკეთება, თუმცა, დაფინანსდა და შეძენილ იქნა სეფის მოსაწყობი რკინის კონსტრუქცია.

2011 წელს სოფელ ლამანაშურში, სოფლის მოსახლეობის მიერ პრიორიტეტად დასახელებულ იქნა ღელის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება, ხელშეკრულებით კი შეიძინეს სარიტუალო ჯამ-ჭურჭელი.

ზემოთ განხილული ფაქტებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სოფლის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა განხორციელდა შესაბამისი დოკუმენტაციის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში გაურკვეველია, რა მიზეზით შეიცვალა შერჩეული პრიორიტეტი. ჩამოთვლილ შემთხვევებში ვერ სრულდება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ და ეს გადაწყვეტილება ასახული უნდა იყოს საერთო კრების ოქმში.

ხელშეკრულებებში არსებული ხარვეზები

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული არ არის შესრულებული სამუშაოების საგარანტიო უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, სამუშაოების დასრულების დღიდან, მიმწოდებელს არ ეკისრება ვალდებულება, გამოასწოროს ხარვეზი ან კიდევ ხელახლა შეაკეთოს, რიგ შემთხვევებში, უხარისხოდ შესრულებული

სამუშაო. გარანტიის არარსებობა გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის შემსრულებლის მიერ სამუშაოების დასრულების შემდეგ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულ იქნეს შესრულებული სამუშაოების საგარანტიო უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების გამოყენების მიზნობრიობის განსაზღვრის ერთ-ერთი კრიტერიუმია, შესაბამისი სოფლის მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმება. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ შემსრულებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს აღნიშნულ პუნქტს.

ვადაგადაცილება

მიმწოდებლის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან სამუშაოების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ არ ხდებოდა ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.5 პუნქტით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენება. 2012 წელს, 8 ხელშეკრულების⁵ ფარგლებში, სამუშაოები დაგვიანებითაა შესრულებული, რის გამოც მიმწოდებლები არ დაჯარიმებულან. აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში, სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში, ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მიიღებდა დაახლოებით 8.7 ათას ლარს.

ხარვეზები შესრულებული სამუშაოს მიმღები კომისიის მუშაობაში

მუნიციპალიტეტში, საკრებულოს თავჯდომარის ბრძანებით, იქმნება შესრულებული სამუშაოების მიმღები კომისია, რომელიც ახორციელებს

⁵ ხელშეკრულებები, რომლებზეც სამუშაოების მიღება-ჩაბარება განხორციელდა დაგვიანებით : № 117; № 127; №193; №199; №204; №215; №225; №270.

შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარებას. აღსანიშნავია, რომ კომისიის შექმნის ბრძანების ტექსტში მითითებული არიან მხოლოდ კომისიის წევრები და არაფერია ნათქვამი მათი უფლებამოსილებების შესახებ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გაანგარიშების დროს საპროექტო სამსახურის მიერ დაშვებული შეცდომები, სრული თანმიმდევრობით ასახულია შემსრულებლებთან გაფორმებულ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტებში, რომელთაც ხელს აწერს სამუშაოების მიმღები კომისია, კერძოდ:

2011-2012 წლებში, საპროექტო სამსახურის მიერ ხარჯთაღრიცხვების შედგენისას დაშვებული არითმეტიკული შეცდომების⁶ გამო, გაზრდილია სახელშეკრულებო ღირებულება და შემსრულებლებზე სავარაუდოდ ბიუჯეტიდან ზედმეტად არის ანაზღაურებული დაახლოებით 700⁷ ლარი. სამუშაოების მიმღები კომისიის მიერ ხარჯთაღრიცხვებსა და მიღება-ჩაბარების აქტებში დაფიქსირებული უზუსტობები შემჩნეული და გამოვლენილი არ არის.

არაფინანსური აქტივების ზრდა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შესრულებულ სამუშაოებზე, კერძოდ, წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და სარიტუალო შენობების კაპიტალურ რემონტზე გაწეული ხარჯი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება არაფინანსური აქტივების ზრდაში აღრიცხვას, არ აღირიცხება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ. აუდიტით განსაზღვრულ პერიოდში აღნიშნულმა ხარჯმა, დაახლოებით, 150 ათასი ლარი შეადგინა.

მასშტაბის შეზღუდვა

2011 წელს გაფორმებული №64 ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც ითვალისწინებდა სოფელ რცხმელურში წყალსადენის რეაბილიტაციის სამუშაოებს, ღირებულებით 12 285 ლარი, ამოღებულ იქნა

⁶ შეცდომითაა დაანგარიშებული გეგმური მოგებისა და ზედნადები ხარჯების ნამრავლი.

⁷ 2011 წელი - ხელშეკრულება №68 – 317 ლარი, 2012 წელი - ხელშეკრულება №132 – 386 ლარი.

სამართალდამცავი ორგანოების მიერ. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფის მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლა ვერ მოხერხდა.

აუდიტის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2011-2012 წლების „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ შესრულებული სამუშაოები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დაგეგნილებების მიხედვით.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორ-ასისტენტი:
ზურაბ ზუმბაძე

ხელმოწერა  თარიღი 14.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:
ბარამ ონიანი

ხელმოწერა  თარიღი 14.11.2013

აუდიტორ-ასისტენტი:
გიორგი ბუკია

ხელმოწერა  თარიღი 14.11.2013

